



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგბილ ბუქ-
უბი სიფყავა, ცუდილუბით და ჭებრბით ბუბ-
თის გაცანა ყულა უჯადისთბაჯ უსაბაგლსია.

გამოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

პარასკევი, 28 დეკემბერი. 2018 წ. №264 (8665)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 60 თეთრი

400 000 ქართველის სხელით

წინა ხელისუფლების მმართველობა დანაშაულებრივ რეჟიმად უნდა გამოცხადდეს!



მიღებულია გადაწყვეტილება, რომ „საქართველოს პატრიოტების“ რეზოლუცია, რომელიც სააკაშვილ-ბოკერიას მმართველობის დანაშაულებრივ რეჟიმად შეფასებას ითვალისწინებს, პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე გამოვიდეს განსახილველად, – ამის შესახებ „პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ირმა ინაშვილმა, ქუთაისის პარლამენტის შენობაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. „თითქმის ნახევარი წელია საქართველოს პარლამენტში ფრაქცია „საქართველოს პატრიოტების“ ინიციატივით შემოსულია რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებს სააკაშვილ-ბოკერიას მმართველობის დანაშაულებრივ რეჟიმად შეფასებას. მოგესხნებათ ისიც, რომ

იურიდიულ კომიტეტში მომზადდა სათანადო დასკვნა და უკვე პლენარული სხდომების დღის წესრიგში გადმოინაცვლა „პატრიოტების“ ამ რეზოლუციამ. ქვეყნის მასშტაბით რეზოლუციას უკვე ხელი მოაწერა 400 ათასმა მოქალაქემ. ბიუროს სხდომაზე იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ „საქართველოს პატრიოტების“ ეს რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებს სააკაშვილ-ბოკერიას მმართველობის შეფასებას დანაშაულებრივ რეჟიმად, დღეს გამოვიდეს პარლამენტის სხდომაზე განსახილველად. ეს არის მნიშვნელოვანი პროცესის დასაწყისი და ამ პროცესს ჰქვია ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენა“, – განაცხადა ინაშვილმა.

როგორი იქნება ახალი წელი თბილისში?!

თბილისის მერის კახი კალაძის განმარტებით, ყველა საახალწლო ღონისძიება, რომელიც დაგეგმილია მომდევნო დღეებში, პირველი რესპუბლიკის მოედანზე გაიმართება. „31 დეკემბერს, 23:00 საათიდან დაიწყება გალაკონცერტი, ხოლო 13 იანვარს, ჩვენ გვექნება შესაძლებლობა მოვუსმინოთ ნინო ქათამაძეს. 29 დეკემბერს გაიმართება თბილისის „ბიგ ბენდის“ კონცერტი; 30 დეკემბერს გიორგი მანაგაძის ბენდი და ჯგუფი „ლაუდ სფიქერს“ გამართავს კონცერტს, კვლავ რესპუბლიკის მოედანზე. ყველა ღონისძიება იქნება საახალწლო სოფელში. ძალიან ხშირად გვწერენ, რატომ არ არის ღონისძიებები სხვადასხვა რაიონებში. ჩვენ შარშან სამ ლოკაციაზე გვექონდა საახალწლო კონცერტი: ევროპის მოედანზე, ვარკეთილსა და გლდანში, თუმცა მინდა გითხრა, რომ ყველაზე მეტი რაოდენობა წარმოდგენილი იყო ცენტრში, გლდანში 20 კაცი ესწრებოდა კონცერტს და ვარკეთილში – ცოტა მეტი. ადგილობრივი მოსახლეობა, პირიქით, გვსაყვედურობდა, რომ ახალი წელი არის იმისთვის, რომ ყველა ერთად შევიკრიბოთ და ყველამ ერთად აღვნიშნოთ ახალი წლის შემობრძანება. წელს, 31 დეკემბერს, გეპატივებით ყველას მთავარ ნაძვის ხესთან, მეც თქვენთან ერთად ვიქნები ჩემი ოჯახით და ერთად შევხვდეთ ახალი, 2019 წლის შემობრძანებას“, – განაცხადა კახა კალაძემ.



ეკა ბესალიამ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობა დატოვა



ეკა ბესალიას თქმით, თანამდებობის დატოვებით უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების უვადოდ დანიშვნის პროცესი შეაჩერა. „ფიქრის შემდეგ, მივიღე გადაწყვეტილება, დავტოვო იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობა. ამ გადაწყვეტილებით გუშინ შევაჩერეთ პროცესი, რომელიც მიმართა, იყო ძალიან საზიანო და ეხება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების უვადოდ დანიშვნის ნაჩქარევ და გაუმართლებელ პროცესს“, – განაცხადა ეკა ბესალიამ. შეგახსენებთ, რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უზენაეს სასამართლოში წარსადგენი მოსამართლეთა 10 კანდიდატურა დაასახელა: მარიამ ცისკაძე, ნინო ქადაგიძე, მიხეილ ჩინჩალაძე, პაატა სილაგაძე, დიმიტრი გვრიტიშვილი, მერაბ გაბინაშვილი, ნინო სანდოძე, თამარ ალანია, გიორგი ტყავაძე და გიორგი მიქაუტაძე.

ახალი წელი - ახალი წოდებით



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში



გაუსსენებს თუ არა სალომე ზურაბიშვილი სააკაშვილს ზურაბ შვანიას საქმეს?



2

2018 წელი პოზიტიური იყო, 2019 კიდეც უკეთესი იქნება!

როგორც მთავრობის მეთაურმა მთავრობის სხდომის დაწყებამდე, წლის შემჯავებელ ბრიფინგზე აღნიშნა, ძალიან მნიშვნელოვანი წელი იყო ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე მიღწეული პროგრესის გათვალისწინებით. მამუკა ბახტაძის შეფასებით, საქართველო ასე ახლოს ევროპულ ოჯახთან და ნატოსთან არასოდეს ყოფილა.

„შევეცდებით, 2019 წელს ეს მიღწევები გახადოთ კიდევ უფრო თვალსაჩინო და რაც მთავარია, მოვახდინოთ ამ მიღწევების კონვერტაცია ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. ასევე ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ 2018 წელი იყო ძალიან ნაყოფიერი ქართულ-ამერიკული ურთიერთობებისთვის. საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობა ასეთ მაღალ დონეზე და ასეთი ყოველწლიური არასდროს ყოფილა“, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

პრემიერ-მინისტრის თქმით, საქართველო ყველა სფეროში აღიარებულია, როგორც რეგიონში ლიდერი ქვეყანა. მამუკა ბახტაძემ განსაკუთრებით გამოყო საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები და ქვეყნის გადასვლა საპარლამენტო მოდელზე და აღნიშნა, რომ სწორედ საპარლამენტო დემოკრატია არის საუკეთესო მოდელი ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების წარმატებით დასაძლევად.

„წელს ბევრი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. ქვეყანას შეემატა ათეულობით კილომეტრი თანამედროვე გზა, ხიდები, გვირაბები, საერთაშორისო სტანდარტების საბაგიროები, აშენდა ბალები და სკოლები. რა თქმა უნდა, ინფრასტრუქტურა 2019 წელსაც დარჩება ერთ-ერთ ყველაზე პრიორიტეტულ მიმართულებად და დარწმუნებული ვარ, მომავალ წელს ჩვენ ძალიან ბევრ და მნიშვნელოვან სტრატეგიულ ობიექტს გავეხსნით. წლევანდელი წელი განსაკუთრებით წარმატებული იყო ჩვენ კულტურისთვის. მნიშვნელოვანი ღონისძიებები ჩატარდა ევროპაში, რითაც ხაზი გაესვა, რომ ქართული კულტურა არის ევროპული კულტურის განუყოფელი ნაწილი და ბუნებრივია, ჩვენ ამ მხრივ აქტიურობას გავაგრძელებთ 2019 წელსაც“, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა სპორტის სფეროში მიმდინარე წელს მიღწეულ წარმატებებს. „განსაკუთრებით წარმატებული იყო 2018 წელი

სპორტის სფეროში. 2018 წელს ჩვენ შეგვიძლია თამამად ვუწოდოთ ქართული სპორტის გამარჯვების წელი. ქართული სპორტის ისტორიაში სწორედ 2018 წელი იყო ყველაზე წარმატებული. ჩვენმა სპორტსმენებმა შეძლეს და 800-ზე მეტი მედალი მოუტანეს საქართველოს. 2019 წელი არის მოსამზადებელი წელი ტოკიოს ოლიმპიადისთვის და ჩვენ მაქსიმალურად აქტიურად ვიქნებით ჩართული, რომ 2020 წელს საქართველო ღირსეულად წარსდგეს ტოკიოს ოლიმპიადაზე“, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.



პრემიერ-მინისტრმა გამოყო ტურიზმის სფეროში მიღწეული წარმატებები და აღნიშნა, რომ 2018 წელს საქართველოს ტურისტების რეკორდული რაოდენობა ეწვია, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს უსაფრთხო, სტაბილური და სანდო ქვეყნის იმიჯი აქვს.

„ეკონომიკის სამინისტრო მუშაობს ტურიზმის ახალ სტრატეგიაზე, ვინაიდან გამოიკვეთა მნიშვნელოვანი მიმართულებები, სადაც ჩვენ დამატებითი ინვესტიციები გვჭირდება და გარკვეულწილად – დაკორექტირებული მიდგომები“, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

პრემიერ-მინისტრის თქმით, დაიწყო და 2019 წელს აქტიურ ფაზაში გადავა განათლების რეფორმა, რომელიც საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი იქნება მომავალი წლების განმავლობაშიც. ამასთან, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან ახალგაზრდობის კომპონენტი პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში გადავა.

მთავრობის მეთაურის თქმით, მიმდინარე წელს ყველა უწყება იყო წარმატებული და მნიშვნელოვანი რეფორმები ხორციელდება ყველა სამინისტროში, შინაგან საქმეთა, იუსტიციის სამინისტროში; კარგი მიღწევები აქვს ჯანდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებს. პრემიერ-მინისტრმა ასევე ხაზი გაუსვა თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე ტოტალური თავდაცვის რეფორმას, რომელიც საქართველოს ნატოსთან კიდევ უფრო დაახლოვებს.

„მომავალ წელს ჩვენი საბიუჯეტო რესურსი იქნება დაახლოებით 13 მილიარდი ლარი. ჩვენ ვუყურებთ ორწლიან პროგრამას. ორწლიანი პროგრამის ფარგლებში საბიუჯეტო რესურსი დაახლოებით 27 მილიარდი იქნება. ჩვენთვის მთავარი ამოცანაა, ეს რესურსი მაქსიმალურად ეფექტურად იყოს გამოყენებული, რათა ჩვენს მოსახლეობას რაც შეიძლება მოკლე პერიოდში მივუტანოთ დადებითი ეკონომიკური შედეგი და შევუმსუბუქოთ იმ პრობლემების გადალახვა, რომელიც დღეს ნაიქტურად გვაქვს ყოველდღიურ ცხოვრებაში“, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

მთავრობის მეთაურის თქმით, საქართველოს წინაშე ჯერ კიდევ რჩება ყველაზე მძიმე და მტკივნეული ორი გამოწვევა – რუსული ოკუპაცია და სიღარიბე.

მთავრობის მეთაურის განცხადებით, ბიზნესმა უნდა შექმნას სამუშაო ადგილები, რომელიც საბოლოო ჯამში სიღარიბის ნაბიჯ-ნაბიჯ შემცირებასა და დაძლევას შეუწყობს ხელს.

„ჩვენ გვაქვს კონკრეტული ინიციატივები, რომელთა დიდი ნაწილი შეეხება მცირე და საშუალო ბიზნესს. ჩვენ გვაქვს სიღარიბის პრობლემა საქართველოში, რომლის გამომწვევი წყარო რამდენიმეა. მათ შორის ერთ-ერთია ის, რომ ჩვენს მთლიან შიდა პროდუქტში, მცირე და საშუალო ბიზნესის წილი მცირეა. ეს მათ შორის უკავშირდება იმას, რომ საქართველოში არსებული ეკონომიკური მოდელი და მოქმედი წესები ზღუდავდა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების საშუალებას. ჩვენი ახალი საბაჟო კოდექსი, სასტარტო კაპიტალის რეფორმა, დაზღვევის ინსტრუმენტები, რომელიც ევროკავშირთან ერთად შევიმუშავეთ, ექსპორტის წამახალისებელი პროგრამები ორიენტირებული იქნება სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესში უფრო მეტი სამუშაო ადგილის გენერირებაზე“, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

პრემიერის ინფორმაციით, ასევე გაგრძელდება მნიშვნელოვანი ნაბიჯები გლობალურ ეკონომიკაში საქართველოს კიდევ უფრო ეფექტურად ინტეგრირებისთვის.

მამუკა ბახტაძემ ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ საგადასახადო პოლიტიკა იქნება მაქსიმალურად ლიბერალური და წარდგენილია მნიშვნელოვანი ინიციატივები, რომლებიც ჯარიმების და საურავების დაწესების, „დრაკონული წესების“ შეცვლას გულისხმობს.

მთავრობის მეთაურმა ასევე ისაუბრა დღეს დაბრუნების რეფორმაზე, რომელიც მომავალი წლიდან ელექტრონულ რეჟიმში ამოქმედდება.

გაუხსენებს თუ არა სალომე ზურაბიშვილი სააკაშვილს ზურაბ ჟვანიას საქმეს?

„როგორც ჩანს, პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი თანდათანობით ითავისებს და ეჩვენება სახელმწიფოს მეთაურის როლს. მან უკვე გააკეთა რამდენიმე განცხადება, თუმცა მათგან ზოგიერთი საკმაოდ მოულოდნელი იყო. სიურპრიზები არის მათთვისაც, ვინც სალომე ზურაბიშვილს არჩევნების დროს მხარს უჭერდა“, – ნერს აზერბაიჯანის გაზეთი „Kaspiy“.

„ნიუსპრესი“ გვთავაზობს რაფ თოფიკოლლუს აპტიროზიტი ბამოქვიძის მასალის ძართულენოვან პერსიას:



ლები აღარ გასამართლებიან. რამდენიმე დღის წინ კი ზვიად გამსახურდიას შვილებმა – კონსტანტინე და ცოტნე გამსახურდიებმა შიმშილობა დაიწყეს, რათა გამოძიება ბოლომდე იქნეს მიყვანილი.

მაგრამ გაჩერდება კი მხოლოდ ამ საქმეზე სალომე ზურაბიშვილი? რადგანაც კარგადაა ცნობილი მისი „თბილი“ ურთიერთობა თავის ყოფილ უფროსთან მიხეილ სააკაშვილთან, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ახლად არჩეული პრეზიდენტი გაიხსენებს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას სიკვდილსაც, რომელსაც ბევრი „პოლიტიკურ

მკვლელიობად“ თვლის... და, ცხადია, ბრალს იმდროინდელ პრეზიდენტ რეფორმატორს სდებენ – მით უმეტეს, რომ საბაბი უკვე არის: ქართული მასმედიის მიერ გავრცელებული ცნობების თანახმად, ზურაბ ჟვანიას ძმა გოგლა ჟვანია ცხედრის ექსგუმაციას ითხოვს.

ასევე საინტერესოა, თუ რა საგარეო პოლიტიკურ კურსს გაატარებს სალომე ზურაბიშვილი საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე. მან „ბი-ბი-სი“-ს რუსულ სამსახურთან ინტერვიუში უკვე გააკეთა



პროდასავლური და ანტირუსული განცხადებები, რომ თბილისი მოსკოვთან დიალოგისათვის მზად არ არისო. აშკარაა, მისი ასეთი პოზიცია მმართველი გუნდისა და მათ მხარდამჭერთა ნაწილს ნამდვილად არ მოეწონება, მათ შორის ყოფილ რუს მილიარდერს ბიძინა ივანიშვილს, რომელიც „ქართული ოცნების“ ლიდერს წარმოადგენს.

სალომე ზურაბიშვილის გამონათქვამები რუსი პოლიტიკოსებისთვისაც „ცივი შხაპის“ ტოლფასი იყო. მთელი წინასაარჩევნო კამპანიის დროს მთავარი ოპონენტი გრიგოლ ვაშაძე და პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ სალომე ზურაბიშვილს „პრორუსულობას“ აბრალებდა, ახლა კი მათი „მტკიცებულებები“ არ დასტურდება... ისე, პარალელურად, უპრიანია გავიხსენოთ „ქართული ოცნების“ გენმდივნის, თბილისის მერის კახა კალაძის განცხადებაც, რომელიც მან ჯერ კიდევ არჩევნების პირველ სალომე კარგი პრეზიდენტი იქნება და რუსეთთან ურთიერთობაში დადებით როლს შეასრულებსო.

ალბათ, ისიც გასახსენებელია, რომ (მედასაველეთ) მიხეილ სააკაშვილმა, ახლა რომ თავს კრემლის

წინააღმდეგ მთავარ მებრძოლად გვაჩვენებს, როცა იგი პრეზიდენტად აირჩიეს, 2004 წელს, თავისი პირველი ვიზიტი მოსკოვში ჩავიდა, („პრო-რუსმა“) სალომე ზურაბიშვილმა კი კურსი ბრიუსელისკენ აიღო. თუ ამას საინაუგურაციო სიტყვის ფრაზებსაც დავამატებთ („რუსეთი ოკუპანტია!“), ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობის გაუმჯობესება, რბილად რომ ვთქვათ, მოსალოდნელი არ არის. ასევე შეიძლება ითქვას, რომ მოსკოვ-თბილისის ურთიერთობა სალომე ზურაბიშვილის მიზებით არ გამწვავდება, თუმცა, ალბათ, „რბილი“ ანტირუსული რიტორიკა თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ „ექიციკლად“ მაინც დარჩება. უნდა ვივარაუდოთ, რომ გაგრძელდება შედარებით სტაბილური – „არც მტრები და არც მეგობრები“. კაცმა რომ თქვას, ომს ეს სჯობია, – ნერს ავტორი სტატიის დასასრულს.



საზონის ფინიში



დღიას, ლაშა ტალახაძე!

ლიოს მრავალგზის რეკორდსმენ ლაშა ტალახაძეს უბ-მო. ტალახაძის გარდა, წლის სპორტსმენის ნომინაცია-ში წარდგენილი იყვნენ თავისუფალი სტილით მოჭი-დავე გენო პეტრიაშვილი, ძიუდოსტი გურამ თუშიშ-ვილი და ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილი.

სპეციალური პრიზები ძარბული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის:

2018 წელს ნაჩვენები მაღალი სპორტული შედეგებისთვის დაჯილდოვდა საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბიორბი იან-ტბელიძე.

2018 წლის აღმოჩენა: ბიორბი ჩაპჩიტაძე (ფეხბურთი); საერთაშორისო აღიარება: ზვიად პატარიაძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა);

სპორტულ მედიცინაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის – ოლიმპიური ნაპრაპის სამედიცინო პირსონალი;

2018 წლის საუკეთესო ლეგიონერი – თორნიკე შენგელიძე (კალათბურთი);

43-ე საჭადრაკო ოლიმპიადის უმაღლეს დონეზე ჩატარებისთვის დაჯილდოვდა საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია;

სპეციალური პრიზები – ლევან გორბაძე (სუმო), ზაზა ფაჩუშია (კალათბურთი), ნიკოლოზ ბასილაშვილი (ჩოგბურთი);

სპორტისა და ოლიმპიზმის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის დაჯილდოვდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი;

იმავე დღეს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ საქართველოს 2017 წლის საუკეთესო სპორტსმენიც დაასახელა. ჯილდო ერთი წლის დაგვიანებით გადაეცა თავისუფალი სტილით მოჭიდავე გენო პეტრიაშვილს.

ვიტალი ჯაფარიძე

ბანათლებს, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ საქართველოს 2018 წლის სპორტული მონაგარი შეჯამა და საუკეთესოები დაასახელა. შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში გამართული საზეიმო ღონისძიება უმთავრესი ჯილდოს გადაცემით დასრულდა. 2018 წლის საუკეთესო სპორტსმენი ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ გამოავლინა. მან სცენაზე მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიურ ჩემპიონ ძალოსანს, მსოფ-

ჭიდაობა

ბოლო სპორტი

თბილისში მიმდინარე თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საქართველოს თასის გათამაშებაში 23-წლამდედთა შორის ოქროს მედლისთვის ბრძოლაში მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონები ნიკა კენჭაძე (79 კგ) და გივი მაჭარაშვილიც (97 კგ) ჩაებნენ. ორივე ფავორიტი იყო, მაგრამ მხოლოდ ერთმა მი-აღწია წარმატებას.

მაჭარაშვილმა ფინალიც ისე ლაღად ჩაატარა, როგორც წინა დღის შეხვედრები – ბექა ჭელიძეს ადვილად აჯობა და შიდა კონკურენციის ლიდერის პოზიცია შეინარჩუნა. კენჭაძემ კი ბევრისთვის მოულოდნელად, ვერაფერი მოუხერხა ტარიელ გაფრინდაშვილს, რომელმაც თავისზე გამოცდილი და ტიტულოვან მეტოქეს 12 ქულა აულო და ვადაზე ადრე მოუშთავრა საქმე.

უმსუბუქესი წონითი კატეგორიის – 57 კილოგრამის ფინალში რობერტ დინგაშვილმა დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა გიორგი ღონიაშვილი. ასევე დრამატული და სანახაობრივი შეხვედრით დაჯი-ვირგვინდა 70 კილოგრამის შიდა კონკურენცია – ივერი ჯულაყიძემ მიიზა სხულუხიას წინააღმდე-გობა ბოლო წამებზე გატეხა. 65 კილოგრამში კი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ედემი ბოლქვაძე ავიდა, რომელმაც გადამწყვეტი გამარ-ჯვება ნაკრების წევრ ამირან ვახტანგიშვილთან მოიპოვა.



ჩემპიონთა გალერეა

- 57 კგ – რობერტ დინგაშვილი (ყვარელი),
65 კგ – ედემი ბოლქვაძე (სამტრედია),
70 კგ – ივერი ჯულაყიძე (სამტრედია),
79 კგ – ტარიელ გაფრინდაშვილი (თბილისი),
97 კგ – გივი მაჭარაშვილი (მცხეთა),
61 კგ – თეიმურაზ ვანიშვილი (გორი),
74 კგ – გიორგი სულავა (ქუთაისი),
86 კგ – ზაურ ბერაძე (ხარაგაული),
92 კგ – მექი სიმონია (ქუთაისი),
125 კგ – ზურიკო ურთაშვილი (მცხეთა).

კობა კობახიძე

ჩოგბურთი


ავსტრალიაში ახალი წესია...

წლის პირველ დიდი სლემის ტურნირზე – ავსტრალიის ლია პირველობაზე ახალი წესი ამოქმედდება.

თუ შეხვედრა გადამწყვეტ მესუთე სეტამდე მივი-და და იქ ჩოგბურთელები 6:6-ზე ავიდნენ, გამარჯვე-ბულს ტაი-ბრეიკი გამოავლენს, რომელიც 10 მოგებულ ქულამდე გაგრძელდება.

აქამდე ჩოგბურთელებს გადამწყვეტ სეტში მოსა-გებად ორი გეიმით დანინაურება სჭირდებოდათ და ზოგჯერ ამის გამო შეხვედრები ძალიან ინტელუ-და. მაგალითად, 2010 წელს უიმბლდონზე ნიკოლა პიუმი და ჯონ იზნერმა 11 საათი ითამაშეს და გადამწყვეტი სეტი იზნერმა 70:68 მოიგო, ეს წესი რომ მაშინ ყო-ფილიყო, შეხვედრა ბევრად მალე დასრულდებოდა. ავსტრალიის ლია პირველობა 14-27 იანვარს გაი-მართება.

ბიორბი შოთაძე



უკვდავი ამოცანა და მისი ავტორი

გამონიშნული ავსტრიელი საჭადრა-კო კომპოზიტორი „უკვდავი ამოცანის“ ავტორი კონრად ბაიერი (1828-1897) იმ თეორეტიკოს პრობლემისტებს მიეკუთ-ვნება, რომლებმაც სა-ჭადრაკო ხელოვნებაში საფუძველი ჩაუყარეს ამოცანების სტრატეგი-ულ მიმდინარეობას. იგი პროფესიით ადვოკატი იყო.




ბაიერი არის მრავალ საერთაშორისო კონკურ-სში გამარჯვებული (1856-1870-იან წლებში), მათ შორის პირველი კონკურსის პირველი პრიზის მფლობელია. ეს პირველი კონკურსი გაიმართა 1856 წელს დიდ ბრიტანეთში. ბაიერის შემოქმედ-ებისთვის დამახასიათებელია ოთხ და

ხუთსვლიანი ამოცანები, იგი გამოირჩე-ვა იმგვარი ორიგინალური ვარიანტე-ბის მიგნებით, რომლებიც მთავრდება მეტოქის დაშამათებით.

მისი შენიღბული და, იმავდ-როულად, მშვიდი სვლები, ვი-თარდება თეთრი ფიგურების შენიღვათა კასკადით და მიმარ-თულია მონინალმდეგის მეფის გამოუვალ საშამათო ქსელში გამბისაკენ. ამიტომაცაა, რომ მისი შემოქმედების სახელს ზუსტად შეესაბამება მისი თა-მაშის სტილი. იგი საჭადრაკო სამყაროში „დრაკონ რაბების“ სახელწოდებითაა ცნობილი.

მოცემულ დიაგრამაზე თეთ-რები თანმიმდევრულად წირავენ ექვს ფიგურას და დარჩენილი უკანას-კნელი პაიკით აშამათებენ შავების გვირგვინოსანს.

კ. ბაიერი უკვდავი ამოცანა 1856, I პრიზი



შამათი 9 სვლაში

- 1. ეხ7! ლხ7 2.კ:ფ6+ მე:ფ6 3.ლფ8+ მეფ5
4. ლფ4 მეფ5 5.ლh5+ ეფ5 6.ფ4+ კ:ფ4
7. ლe2+ ჯe2 8.ეe4+ de 9. d4X!

შენიშვნა: შექმნილ პოზიციაში საკუთარი გარემოცვა დათვურ სამსახურს უწევს მეფეს, რათა მან დაიძვინოს თავი შამათისგან; ეტყობა, ადვოკატის პროფესია ამ საქმეშიც დაეხმარა ბაიერს (თ.შ.)

მოამზადა თაგა შენგელიძე

სულთანა

გაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს!

ირაკლი ალექსანდრას ქე მოწარეალია

სანმომკლ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, ფოთის ვიცე-მერი ნლების განმავლობაში ირაკლი ალექსანდრას ქე მოწარეალია.

ირაკლი მონერელია დაიბადა 1942 წელს, ქ. ფოთში, კოლხეთის მინდიად წოდებულ, ცნობილი მეცნიერის, აკადემიკოს ალექსანდრე მონერელიას ოჯახში, რამაც იმთავითვე განსაზღვრა მისი მეცნიერული მოღვაწეობის გზა.

ახალგაზრდა კაცის სულიერ, პიროვნულ ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია განსაკუთრებულმა ოჯახურმა გარემომ - დიდი მეცნიერი მამის რჩევებმა და შესანიშნავმა ბიბლიოთეკამ. იგი ერთნაირად ეუფლებოდა, როგორც მეცნიერულ, ასევე მსოფლიო ლიტერატურულ კლასიკოსთა ნაშრომებს ფილოსოფიის, ისტორიის, არქეოლოგიისა და სხვა დარგებში, რამაც განსაზღვრა მისი განათლების მრავალმხრივობა, სახელმწიფოებრივი აზროვნება, ზრუნვა უკეთესი მომავლისათვის.

ირაკლი მონერელიას ინტელექტი და მონდომება შეუმჩნეველი არ დარჩენილა და სულ მალე იგი ფოთის ახალგაზრდობის ლიდერად აირჩიეს. ამის შემდეგ დაიწყო მისი წარმატებული პოლიტიკური საქმიანობა. სრულიად ახალგაზრდა კაცს მარტივად (საკმაოდ დიდი რაიონის) თავკაცობა ანდეს, სადაც მან სრულად გამოავლინა ორგანიზატორული ნიჭი და რეგიონი დაანინაურა ყველა ეკონომიკური პარამეტრით. მას არც სულიერება დავიწყებთ და მარტივად ისტორიული ტაძარი აღადგინა, რაც საკმაოდ გაბედული ნაბიჯი იყო იმ დროისათვის და მონინაალმდეგეებიც გამოუჩნდნენ.

განსაკუთრებით გამოირჩეოდა მისი მოღვაწეობა მშობლიურ ქალაქში მერის მოადგილის რანგში. აღსანიშნავია მისი ახლებური ხედვა, კომპეტენტურობა, პრინციპულობა, ადამიანთა ბედით დაინტერესება, ამიტომაც

დ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერია; დ. ფოთის საკრებულო



მას განსაკუთრებული ადგილი ეკავა ქალაქის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი ძალ-ღონეს არ იშურებდა, რათა ფოთს ჰქონოდა დამოუკიდებელი ქალაქის სტატუსი, დიდი საპორტო პერსპექტივა - როგორც ევრაზიისა და „აბრეშუქის გზის“ ფორფოსტს, თავისუფალი სავაჭრო ზონისა და ტურიზმის განვითარების გეგმა.ის კარგად იცნობდა დიდი ნიკო ნიკოლაძისეულ ფოთის განვითარების კონცეფციას, გულმოდგინედ სწავლობდა მის უდიდეს სამეცნიერო და პრაქტიკულ მოღვაწეობას, ფილოსოფიურ-ესთეტიკურ შეხედულებებს, იმას, რისი გავლენაც ვერ მოასწრო ფოთში ამ მართლაც ბუმბერაზმა პიროვნებამ. ყოველივე ამას უამრავი კვლევა და პუბლიკაცია მიუძღვნა.

ირაკლი მონერელია ილტვოდა სიახლისა და პროგრესის დანერგვისაკენ, დემოკრატიული პროცესების დამკვიდრებისათვის და თავდაუზოგავი შრომის მაგალითს აძლევდა ახალგაზრდებს. ვისაც კი მასთან უმუშავია, მუდამ ემახსოვრება საქმიანობაში ერთგულება, თავდადება. ის იყო ახალგაზრდების მეგობარი, მრჩეველი, ობიექტური, მართალი და პრინციპული პიროვნება.

ირაკლი მონერელიამ დიდებული ოჯახი შექმნა, იყო კარგი მეუღლე, მამა და ბაბუა. სიცოცხლის ძაფი არ წყდება - მისი ნიჭი და გენი შვილებში, შვილიშვილებში გრძელდება. დიდი ბაბუას სეხნია ალექსანდრე მონერელია სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორია და აგრძელებს დიდ ოჯახურ ტრადიციებს ქვეყნის მსახურებისა. სამსუხაროა, რომ ბატონი ირაკლი ვერ მოესწრება შვილის წარმატებებს, რომელზედაც მთელი ცხოვრება ოცნებობდა.

დასანანია, რომ ნაადრევად წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი ფოთელი, რომელსაც ბევრი სასიკეთო საქმის კეთება შეეძლო და ამიტომაც დააკლა ქალაქს - ფოთსა და ფოთელთა გულში.

როცა ადამიანი მიდის ამ ქვეყნიდან, მაშინ უფრო ვგრძნობთ პიროვნების ღვანლს ერის, ქვეყნის, და, უპირველესად, მშობლიური ქალაქის წინაშე. ამიტომაც მისი სახელი და ხსოვნა მუდამ დარჩება ფოთელთა გულში.

სპორტის მოძრაობა თავისუფალია.

სამართავლო რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, რთული მეტეოროლოგიური პირობების (ქარბუქი და ნამქერები) გამო, საერთაშორისო მნიშვნელობის ახალციხე-ნინოწმინდას (სომხეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ90-კმ112 (ნინოწმინდა-სომხეთის საზღვარი) მონაკვეთზე და საერთაშორისო მნიშვნელობის ახალქალაქი-კარნახის (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ31-კმ36.5 მონაკვეთზე აკრძალულია მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტვივადობის ავტობუსების მოძრაობა, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.



სანთელი

საქართველოს ჟურნალისტიკა შემოქმედებითი კავშირი და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და უსამძიმრებენ ჟურნალისტიკა კავშირის თავმჯდომარეს მარინა თეთუმანიძეს დის

მანანა თეთუმანიძის

გარდაცვალების გამო. მანანაშვიდი 28, 29 XII, 17 სთ, გამოსვენება 30 XII, 14 სთ. მისამართი: ნუცუბიძის II პლატო, მე-2 კვ. 11 კორპ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუნყება, რომ გარდაიცვალა ღვანლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი, ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ეკონომიკის დოქტორი

ნანული არევაქი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. მანანაშვიდი: 27, 28 XII, 16 სთ; გამოსვენება: 29 XII, 14 სთ; მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზ. №28, I სად. VI სართ.

ყოფილ გუბერნატორს ბირაო შეუფარდა

თბილისის საქალაქო სასამართლო სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილ გუბერნატორ ლევან შონიას აღკვეთის ღონისძიების სახით 5 000 ლარის ოდენობის გირაო შეუფარდა.



ლევან შონიას ადვოკატის განცხადებით, ჩარიცხული 10 000 დოლარი არა ჩუქება, არამედ ქველმოქმედებისთვის იყო გადარიცხული, რაც ონკოლოგიურად დაავადებული ადამიანის დახმარებას გულისხმობდა.

ცნობისთვის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, მოხელეების მიერ ჯგუფურად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლით მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ჩატარებული ოპერატიული სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, კანონით აკრძალული საჩუქრის მიღების ფაქტზე სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილი გუბერნატორი ლევან შონია სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს. სუსის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ 2018 წლის მაისში, სამეგრელო-ზემო სვანეთის იმუამინდელი გუბერნატორის ლევან შონიას თხოვნით, მის მიერ მითითებული პიროვნების - გ.ა.ს სახელზე, მისთვის გადასაცემად მოქალაქე ზ.კ-მ 10 000 აშშ დოლარი ჩარიცხა, რაც ლევან შონიას გადაეცა.

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი ახსადებს ღია კონკურსს

აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

- ბიზნესისა და სოციალური მენეჯერების ფაკულტეტი
ბიზნესის მართვის კათედრა
1 ასოცირებული პროფესორი
ფინანსებისა და ეკონომიკის კათედრა
1 ასოცირებული პროფესორი
საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა
1 ასოცირებული პროფესორი

საბუთების მიღება იწარმოებს 2019 წლის 29 იანვრიდან 2019 წლის 8 თებერვლის ჩათვლით, ყოველდღიურად, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 საათიდან 16:00 საათამდე. კონკურსი ჩატარდება 2019 წლის 20 თებერვალს.

დანერვლებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.gtuni.edu.ge ან დარეკოთ შემდეგ ნომრებზე: 2 66-15-12; 224-65-90; 224-65-91.

ამინდი გაუარესდა

რთული მეტეოროლოგიური პირობების (ქარბუქი და ნამქერები) გამო, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კოდა-ფარცხისი-მანგლისი-წალკა-ნინოწმინდის საავტომობილო გზის კმ94-კმ110 (ფარავანის უღელტეხილი) მონაკვეთზე აკრძალულია მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტვივადობის ავტობუსების მოძრაობა, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

გზის დანარჩენ მონაკვეთებზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, ინტენსიური თოვის და ლიპყინულის გამო, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ვაზიანი-გომბორი-თელავის საავტომობილო გზის კმ37-კმ55 (ვერონა-შუამთა) მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების სანიანალმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. გზის დანარჩენ მონაკვეთებზე ავტოტრანს-



თოვლის პაპას დაჭერა გადაწყვიტა...

ყველამ ვიცით, რომ ბავშვებს განსაკუთრებული მოლოდინი აქვთ შობის ღამისადმი, რათა მათი კუთვნილი საჩუქარი მიიღონ. იმედი არ გაუმართლდა გერმანელ ბიჭუნას.

ბერლინში, 9 წლის ბავშვმა პოლიციის დახმარებით, რადგან მას თოვლის პაპის მიტანილი საჩუქრები არ მოეწონა.

ადგილზე მისულ პოლიციელებს მან განუცხადა, რომ სანტასგან ვერ მიიღო ერთი საჩუქარიც კი, რომელიც მას სთხოვა. პოლიციელებმა ბიჭის საჩუქრების სია შეისწავლეს და გამოთქვეს ვარაუდი, რომ ასაკის გამო, თოვლის პაპს შესაძლოა, საჩუქრები აერია. ასეც ხდება...

რუსეთში საპენიტენციო მიზნით კანაფისა და ნარკოტიკების შემცველი სხვა მცენარეების მოყვანა შესაძლოა ლეგალური გახდეს.



რუსეთში სამედიცინო მიზნით კანაფისა და ნარკოტიკების შემცველი სხვა მცენარეების მოყვანა შესაძლოა ლეგალური გახდეს. რუსეთის მთავრობამ მიიღო კანონი, რომელიც სამედიცინო მიზნებით ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი სხვადასხვა მცენარეების მოყვანა და გაზრდა ლეგალური ხდება.

მათ შორის კანაფიცაა. შემდეგი ეტაპი მისი პარლამენტში დამტკიცება და პრეზიდენტის მიერ ხელმოწერაა.

კანონის მიხედვით ამ სფეროში მომუშავე სახელმწიფო კომპანიებს, საშუალება ექნებათ ანაარმოონ არა მხოლოდ მზა სუბსტანცია, არამედ ამისთვის საჭირო ნივთიერებებიც. გავრცელებული ინფორმაციით, წარმოების ნებართვას სულ ორი სახელმწიფო უწყება მიიღებს.

კანაფის გარდა ნებადართული იქნება სხვადასხვა სახის სოკო, ფსილოციბინი, მესკალინის შემცველი კაქტუსები, მაკის შემცველი ყაყაჩოსა და ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი მცენარეები.

ბურთი ჰყვარებიან

მეტიარანი ნიდერლანდელი მობურთალის რაფაელ ვან დერ ვაარტის ცოლი სილვია ვან დერ ვაარტი ნამეტნავი გულახდილობით გამოჩნეული ქალია. იგი არასოდეს მალავდა, რომ ბურთების



დიდი მოყვარულია და საკმარისია სადმე მრგვალი სფეროს გადააწყდეს, რომ მსწრაფლივ თამაშს იწყებს.

სილვია იმასაც ამბობს, რომ რაფაელის შეყვარების უმთავრესი საბაბი მისი ფეხბურთელობა გახდა და საერთოდ, თუკი ოდესმე მამაკაცები მოსვლია თვალში, ყველა მათგანი სპორტსმენი იყო და ბურთს აგორებდა. სხვათაშორის, თავად სილვია ვან დერ ვაარტი სპორტსმენი არასოდეს ყოფილა. რაფაელ ვან დერ ვაარტის ცოლი წლების წინ ფოტომოდელიობით იყო დაკავებული და იმ პერიოდში ნიდერლანდებში საკმაოდ პოპულარულიც გახდა, თუმცა, შემდეგ ერთი პერიოდი გვარიანად მოსუქდა და მიუხედავად იმისა, რომ დღეს ძველებურად დიდებულ კონდიციებშია, საზოგადოებრივად აღარ მიზრუნებია.

პრეზუმირებული ქრისტიანული დღესასწაულად გამოცხადდა

25 დეკემბერი უკვე დღე იქნება არა მხოლოდ ერაყელი ქრისტიანებისთვის, არამედ ქვეყნის ყველა მოქალაქისთვის.

„ბედნიერი შობა ჩვენ ქრისტიან თანამოქალაქეებს. ყველა ერაყელს და ყველას ვინც მსოფლიოში ამ დღესასწაულს ზეიმობს“ – ნათქვამია ერაყის ხელისუფლების ოფიციალურ ტვიტერზე.

2003 წლამდე ერაყში 1.4 მილიონი ქრისტიანი იყო, ომების გამო ბევრმა მათგანმა ქვეყანა დატოვა და ახლა მათი რაოდენობა 300 ათასამდე შემცირებულია. რესპუბლიკის 38-მილიონიანი მოსახლეობის უმრავლესობა ისლამის მიმდევარია, რაც თითქმის 95% შეადგენს, მათგან უმრავლესობა შიიტია.

დეკემბრის დასაწყისში ქალღმერთ კათოლიკური ეკლესიის პატრიარქმა და ბაღდადის არქიეპისკოპოსმა ლუის რაფაელმა თხოვნით მიმართა ერაყელ კანონმდებლებს, რომ ქრისტიანული შობა ოფიციალურად გამოეცხადებინათ უკვე დღე.



დონალდ და მელანია ტრამპები პრეზიდენტი

აშშ-ის 45-ე პრეზიდენტი დონალდ ტრამპი და პირველი ლედი მელანია ყველასგან მოულოდნელად და მედიისგან მალულად ერაყში ამერიკულ სამხედროებს ეწვივნენ.

„თეთრი სახლის“ განცხადებით, ტრამპებმა ამერიკულ სამხედროებს შობა მიულოცეს და მადლობა გადაუხადეს მათ მიერ გაწეული სამსახურისა და მსხვერპლისთვის.

ალსანიშნავია, რომ ერაყში აშშ-ის პრეზიდენტი პირველად ჩავიდა. მანამდე ამერიკული მედია წერდა, რომ დონალდ ტრამპი ერაყში ჩაუსვლელია, მრავალწლიან ტრადიციას არღვევდა. ერაყში ამჟამად 5 000 ამერიკელი სამხედრო იმყოფება.



გაზეთის გამოსანერგად მიმართეთ:

„ელვა სერვისი“
238-26-73; 577 99 16 51
238-26-14; 577 30 88 47

„მასნა“
214-74-22; 599 982 777

„კლანება-ფორტა“
292 18 59; 579 79 99 08

გაზეთის გამოსანერგად მიმართეთ:
2-99-02-10;
599 797 679.

„ჯეოქალია“
266-51-13;
593 209 526

გაზეთი შეგვიკლია მოგანოდოთ ელექტრონულად, ელ.ფოსტის საშუალებით.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS REPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გომიასვილი
599 53-76-16;
ალექო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლობა:
შპს „თანადგომა“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
იხეივანი გამომცემლობა
„ქოლორ პრესი“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323
ISSN 2233-3851

9 772233 385001

ავტორთა საზურაღდეოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ვაჭიბვის სიზუსტეზე პასუხს აბეზან ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“
შენი გაზეთია, აუსილვლად გამოიწერე, წაიკითხე, ისიამოვნე!

საქართველოს რესპუბლიკა	უხსოვარი პალატის ქარტი: აშშ ფონდები - 2.6617; პირი - 3.0354; ბრიტანული მიკროსა სტრუქტურა - 3.3633 100 რუბლი - 3.8939; თურქული ლირა - 0.5020; აზერბაიჯანული მანათი - 1.5659; 1000 სომხური დრამი - 5.4994.	აქციები 28 დეკემბრისთვის აღმოსავლეთი საქართველო: ბაზი - ლაშქ -1, ლაშქ +14 მთიანი რაიონები - ლაშქ -4, ლაშქ +9 დასავლეთი საქართველო: ბაზი - ლაშქ +6, ლაშქ +12 მთიანი რაიონები - ლაშქ -2, ლაშქ +8 თბილისი: ლაშქ 0, ლაშქ +9	დაავიკავით, მოგვწერეთ: ტელ: 299-02-10, 599-79-76-79 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge
-------------------------------	--	---	---